ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5147796

ნომერი: AR1777156

თარიღი : 30.09.2020

გაცემის თარიღი : 19.10.2020

გაცნობის თარიღი : 26.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 8 ; ქალაქი თბილისი , იუმაშევის ქუჩა N 8 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი , N 8 , (ნაკვეთი N3/42);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შენგელია პ/ნ 62001024930
- სოხუმი კ.მარქსის ქ. N 3 ბ. 31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. როგორც წარმოდგენილი ესკიზიდან დგინდება, საპროექტო შენობა კონსტრუქციულად არ არის დაკავშირებული არსებულ შენობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაცვლად რეკონსტრუქციისა, საკითხი უნდა დააყენთო ახალი მშენებლობის მოთხოვნით.
2. ვინადიან საპროექტო ნაკვეთთან მისვლა ხდება #01.19.15.003.055 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ნაკვეთის გავლით (სერვიტუტის გამოყენებით), საჭიროა წარმოადგინოთ სერვიტუტის საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
3. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ფოტოსურათების pdf ფაილი :
წარმოადგინეთ დღევანდელი მდგომარეობით გადაღებული, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა გადაღების თარიღის დაფიქსირებით.

4. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აეროდრომის რაიონში. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია აჭარბებს შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს მიერ დადგენილ ნიშნულს, საჭიროა წარმოადგინოთ აეროდრომის ექსპლუატანტის შპს „ტავ ურბან საქართველო“-ს პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

5. წარმოდგენილი განაცხადი 60-0120293449 (19/10/2020) ნომრით გადაგზავნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში პოზიციის დასაფიქსირებლად, რომლის პასუხსაც გაცნობებთ დამატებით. აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.